# მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება №7

## 2011 წლის 31 მარტი

## ქ. მარტვილი

## ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შემოღებულ იქნეს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის)
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 მარტის №5 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

**საკრებულოს თავმჯდომარის**

**მოვალეობის შემსრულებელი  ბ. მიქავა**

***დანართი №1***

## ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შესახებ

**მუხლი 1**

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – 3-ჯერ.

**მუხლი 2.**

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 1 პროცენტს.

**მუხლი 3**

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია:

ა) 100000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,1პროცენტი;

ბ) 100000 ლარისა და მეტი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების – 0.8 პროცენტი.

**მუხლი 4**

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) საკარმიდამო მიწებისათვის – 76 ლარი;

ბ) სათიბებისათვის – 19 ლარი;

გ) საძოვრებისათვის – 15ლარი;

დ) სახნავი და სხვა მიწებისათვის – 76 ლარი.

**მუხლი 5**

ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ტყეების მიწის ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 20 ლარი.

**მუხლი 6**

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 3 ლარი.

**მუხლი 7**

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

| № | მარტვილის მუნიციპალიტეტი | ტერიტორიული კოეფიციენტი | საბაზისო განაკვეთი 1მ²-ზე (ლარებში) | წლიური გადასახადის განაკვეთი 1მ²-ზე (3x4) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქალაქი მარტვილი | 0.6 | 0.24 | 0.144 |
| 2 | მარტვილის მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში | 0.45 | 0.24 | 0.108 |

**მუხლი 8**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, შესაბამისი დასაბეგრი ობიექტის მიხედვით, ქონების გადასახადისგან გათავისუფლდეს:

ა) საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;

ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;

გ) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობი.

**მუხლი 9**

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისად, დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.